საქმე № 2/36016-2016

4811450731944

www.info.court.ge

განჩინება

საქართველოს სახელით
კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

17.01.2019 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე: ლაშა ქოჩიაშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილმა განიხილა შპს ”იბერ მით ჯორჯიას” კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი,

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია გადახდისუუნარობის საქმე შ.პ.ს. ”იბერ მით ჯორჯია”-ს მიმართ.

2017 წლის 29 მარტის კრედიტორთა კრება გადაიდო სხვა დროისთვის, რადგან დასახელებული არ იყო მომრიგებელი საბჭოს წევრები, 2019 წლის 15 იანვარს უზრუნველყოფილი კრედიტორის, სს "თიბისი ბანკის" წარმომადგენელმა, ვასილ ტიტვინიძემ განცხადებით მომართა სასამართლოს და მოითხოვა კრედიტორთა კრების მოწვევა მომრიგებელი საბჭოს წევრების დანიშვნის მიზნით.

სასამართლომ განიხილა საქმეში წარმოდგენილი მასალები და მიაჩნია, რომ მოწვეული უნდა იქნას შ.პ.ს. ”იბერ მით ჯორჯია”-ს კრედიტორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით: 1) დაგვიანებით წარმოდგენილი მოთხოვნის შემოწმება; 2) მომრიგებელი საბჭოს წევრების დანიშვნა.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე შეტყობინება უნდა გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.“

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმეთა

წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, 25-ე, 27-ე, 30-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მოწვეული იქნას შ.პ.ს. ”იბერ მით ჯორჯია”-ს კრედიტორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით:
   1.1. დაგვიანებით წარმოდგენილი მოთხოვნის შემოწმება;
   1.2. მომრიგებელი საბჭოს წევრების დანიშვნა;
2. კრედიტორთა კრება მოწვეული იქნას 2019 წლის 07 თებერვალს 11:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის №63 სხდომათა დარბაზში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).
3. დაევალოს შ.პ.ს. ”იბერ მით ჯორჯია”-ს მეურვეს კრედიტორებისათვის კრების ჩატარების შესახებ შეტყობინებების გაგზავნა, მასვე დაევალოს განჩინების გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ვებგვერდზე. განჩინება ასევე გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზე და სასამართლოს ვებგვერდზე.
4. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს განჩინებაზე შეუძლიათ კერძო საჩივრის შეტანა განჩინების გადაცემიდან ან გაცნობიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

მოსამართლე: **ლაშა ქოჩიაშვილი**

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=..... ...., c=GE
Date: 2019.01.23 17:28:34 +04'00'